

## „მეფე ერეკლე - ხელნაწერებით გაცოცხლებული ისტორია“

ჩემ წინ დევს ერეკლე II -ის ბრძანებათაგან ერთ-ერთი, რომელიც შეეხება ლეკთა ტყვეობიდან გამოსყიდული, ვინმე გიორგი გეგელიშვილის ამბავს. ეს ბრძანება მას ახლა იცავს არა მტრისგან, არამედ ქართველი მამასახლისისგან. დიღმის მამასახლისმა დავითმა ვერ შეძლო, ან არ მოიწადინა შეესრულებინა მეფე თეიმურაზ II-ის დავალება, ლეკების ტყვეობიდან დაესხნა, გამოესყიდა გიორგი და ახლა, როცა ნახა სხვების დახმარებით გათავისუფლებული, მოინდომა მისი ისევ ყმად გახდომა. ერეკლე II იჩენს საოცარ სამართლიანობას, დიდსულოვნებას და იცავს გლეხს, ახალ უკვე ქართველის ჩაგვრისგან. „ თქვენ არ დაგიხსნიათ და სხვას დაუხსნია მადლისათვის და გაუშვია. ქალაქში არის, ჩემი შვილის, ლევანის ხელდებულია, სადაც უნდოდეს, იქ შეინახოს. სხვას ხელი არავის აქვს“. - ერეკლე ობიექტურია, ამით იცავს სახელმწიფოში არსებულ წესებსა და კანონებს, რითაც პირადი მაგალითით უჩვენებს სხვებსაც, რომ კანონი არ უნდა დაირღვეს.

ის, რომ ქვეყნის პირველი პირისთვის მნიშვნელოვანია ერთ-ერთი რიგითი ქართველის ბედი და მის დაცვაში თვითონაც ჩართული, ერთ დამატებით, დადებით შტრიხს სძენს ჩემს თვალში ერეკლე მეფის პიროვნულ პორტრეტს. მისთვის თითოეული ქართველის, თუნდაც „ ანანურელი ულამაზო“ ყოფილიყო, სიცოცხლე და ბედი მნიშვნელოვანია. ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ იგი საქართველოსა და ქართველებზე მამასავით ზრუნავდა. ის ისეთი ხელისუფალი იყო, რომ არა მხოლოდ ხმლით იბრძოდა თავისი სამეფოსა და ხალხის დასაცავად, არამედ ყველა სხვა შესაძლებლობასაც იყენებდა, ომისა და იარაღის გარდა, რომ ქართველებისთვის შვება მიეცა მძიმე XVIII საუკუნეში საცხოვრებლად.

როცა სამეფოს პირველი პირები, მამამისი თეიმურაზ II და თვითონაც, აქტიურად არიან ჩართული, ჩემთვის აქამდე უცნობი, გეგელაშვილის ლეკების ტყვეობიდან გამოსყიდვაში, ბევრ რამეს ამბობს. ის უკვე აღვნიშნე, რომ ეს მონარქი მამა-შვილის ადამიანობასა და კაცთმოყვარეობაზე მეტყველებს.

მეორე - XVIII საუკუნე ლეკთა გაუთავებელი თარეშის ხანაა ქართლსა და კახეთში, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას. ისინი ძარცვავდნენ ქართულ სოფლებს, იტაცებდნენ და ტყვედ მიჰყავდათ არა მარტო გლეხები, არამედ თავადებიც. დავით გურამიშვილიც ხომ გულისტკივილით გვიყვება „დავითიანში“ ამის შესახებ. დავით ჭავჭავაძის ოჯახისა და წინანდლის მამულის დარბევის ისტორიაც ამის დასტურია.

ის, რომ ერეკლე II-ს დაბადებიდან 300 წლის მერეც სიყვარულით, სიამაყით, პატივისცემით ვიხსენებთ, მისივე დამსახურებაა.

მარიამ მერებაშვილი - 16 წლის

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქსნის საჯარო სკოლა - XI კლასი